შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ბაზისი XXI“ (ID 202235296)
საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ. №63-ა
ტელ. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№ 103/21

L.T.D. projecting,
architect-design studio
„BAZISI XXI“(ID 202235296)
63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„12“ აპრილი 2021წ

## კონსტრუქციული დასკვნა

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, გრიგოლ ჩხიკვაძის ქუჩა, №3, შ.პ.ს. „ინვესტ დეველოპმენტი“-ს (ID: 400143233) საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.72.14.034.136 IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოებისა და მშენებლობის პროცესში მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობების მდგრადობაზე შესაძლო ზეგავლენის შესახებ.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის სპეციალისტების მიერ ვიზუალური გამოკვლევა ჩაუტარდა საპროექტო ტერიტორიას და მის მომიჯნავე შენობებს, მშენებარე IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოებისა და მშენებლობის პროცესში მომიჯნავე შენობების მდგრადობაზე შესაძლო ზეგავლენის დასადგენად.

ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, გრიგოლ ჩხიკვაძის ქუჩა, №3, შ.პ.ს. „ინვესტ დეველოპმენტი“-ს (ID: 400143233) საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.72.14.034.136 IV კლასის საპროექტო მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა წარმოადგენს შვიდსართულიან ნაგებობას, (6 მიწისზედა და ერთი მიწისქვეშა სარდაფის სართულით).

მიწისქვეშა სარდაფის სართულის სიმაღლე შეადგენს 2,80მ; I სართულის სიმაღლე შეადგენს 3,45მ; დანარჩენი მიწისზედა სართულების სიმაღლე შეადგენს 3,15მ;

საპროექტო შენობა წარმოადგენს რთული ფორმის ნაგებობას, მცირე კონსოლური ნაშვერებით, აივნების სახით, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით: 23,40X37,10მ.

შენობის მაქსიმალური მალი გრძივი მიმართულებით შეადგენს: 7,00მ; მაქსიმალური მალი განივი მიმართულებით შეადგენს: 6,40მ; კონსტრუქციული სქემის მიხედვით საპროექტო შენობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასულ-კავშირებიანი ტიპისაა, ხისტი კვანძებით.

სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას. ქარის ნორმატიული დატვირთვა (მიწის ზედაპირიდან 10მ სიმაღლეზე) შეადგენს 85კგ/მ$^2$; თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა 50კგ/მ$^2$.

საძირკვლების კონსტრუქციად მიღებულია მონოლითური რკ/ბეტონის საძირკვლის ფილა, სისქით 70სმ. საძირკვლის ფუძეს წარმოადგენს თიხნარები, პირობითი საანგარიშო წინაღობით, $R_0$=1,60 კგძ/სმ$^2$.

ქვაბულის ძირის მაქსიმალური ჩაღრმავება მიწის ზედაპირიდან 3,25 მეტრი.

<u>საპროეტო ტერიტორიაზე მდებარე, მშენებარე ობიექტს:</u>

<u>აღმოსავლეთის მხრიდან:</u> ესაზღვრება ამავე მიწის ნაკვეთის ეზო არანაკლებ 2,0÷4,0მ მანძილზე, შემდეგ გრიგოლ ჩხიკვაძის ქუჩა (შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორია).

<u>დასავლეთის მხრიდან:</u> ესაზღვრება ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ცამეტი ასურელი მამას ქუჩა, №103, შ.პ.ს. „უმბ“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთის №01.72.14.094.820 ეზო, (შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორია).
<u>ჩრდილოეთის მხრიდან:</u> ესაზღვრება ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ცამეტი ასურელი მამას ქუჩა, №103, შ.პ.ს. „უმბ“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე №01.72.14.094.820 მდებარე, მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობა. მომინავე შენობა წარმოადგენს 7-12 სართულიან ნაგებობას, (გააჩნია ერთი მიწისქვეშა სარდაფის სართული). კონსტრუქციული სქემის მიხედვით მომიჯნავე შენობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასულ-კავშირებიანი ტიპისაა, ხისტი კვანძებით.
საპროექტო შენობის მიმდებარე ნაწილში, მომიჯნავე შენობა 7 სართულიანია (ერთი მიწისქვეშა სარდაფის სართულით). მომიჯნავე ნაგებობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემა (რკ/ბეტონის კარკასი) აშენებულია, ნაგებობის საძირკველს წარმოადგენს მონოლითური რკ/ბეტონის საძირკვლის ფილა, რომლის ძირიც ჩაღრმავებულია საპროექტო შენობის საძირკვლის ფილის ძირის დონეზე.
მომიჯნავე შენობის მზიდი კონსტრუქციები კარგ ტექნიკურ მდგომარეობაშია.
<u>სამხრეთის მხრიდან:</u> ესაზღვრება ამავე მიწის ნაკვეთის ეზო და გრიგოლ ჩხიკვაძის ქუჩა (შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორია).

საპროექტო, IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა მშენებარეა, არსებული მდგომარეობით აშენებულია სარდაფისა და მიწისზედა VI სართულის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემა, დარჩენილია კიბის უჯრედის და ლიფტის სამანქანო განყოფილების მზიდი კონსტრუქციული სისტემის მოწყობის; სახურავზე პარაპეტის დამჭერი კონსტრუქციაის მოწყობის; კარკასის შევსების; არამზიდი ელემენტების მოწყობის და მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

მშენებარე შენობას: აღმოსავლეთის, დასავლეთის და სამხრეთის მხრიდან ესაზღვრებიან შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორიები. ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება მშენებარე, მომიჯნავე შენობის 7 სართულიანი ნაწილი.

იმისათვის, რომ საპროექტო IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობის პროცესში გამოირიცხულიყო რაიმე უარყოფითი ზეგავლენა მომიჯნავე შენობაზე, ჩრდილოეთის მხრიდან, საკადასტრო მიჯნის გასწვრივ პროექტის მიხედვით მოეწყო მონოლითური რკ/ბეტონის ბურღვით დანატენი ხიმინჯების ფარდა, ხიმინჯების დიამეტრით 40სმ, ბიჯით 80სმ ხიმინჯების ღერძებს შორის.

ასევე, დასავლეთის მხარეს, ქვაბულის ფერდების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, საკადასტრო მიჯნის გასწვრივ, პროექტის მიხედვით მოეწყო მონოლითური რკ/ბეტონის ბურღვით დანატენი ხიმინჯების ფარდა, ხიმინჯების დიამეტრით 40სმ, ბიჯით 80სმ ხიმინჯების ღერძებს შორის.

**შეთანხმებული პროექტის ცვლილება (ბოლო კორექტირება) ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს:**

1. აივნების ორფრთიანი კარები შეიცვალა ერთფრთიანი კარებით;
2. კორექტირებულ გეგმებზე აღნიშნულ ადგილებში ფანჯრის მაგივრად მოეწყო კარი აივანზე გასასვლელად;



3. აივანზე მოწყობილი ცხაურები გადმოიწევს ფილის პირზე და შესაბამის მონაკვეთზე გაუქმდება მოაჯირი;
4. ტრავერტინის მოპირკეთება შენობის ნაწილზე შეიცვალა აგურის მოპირკეთებით;
5. მეორე სართულის ტერასაზე მდებარე კედლის სიმაღლე გაიზარდა;
6. კიბის უჯრედში მდებარე მეტალოპლასტმასის ფრამუგები შეიცვალა ლითონის ცხაურიანი ფრამუგებით;
7. სახურავზე ლიფტის შახტის სიმაღლე შემცირდა (ნაცვლად +21.90 ნიშნულისა გახდა +20.90 ნიშნული);

9. დაემატა პარაპეტის დამჭერი კონსტრუქცია სახურავზე;

შეთანხმებული პროექტის ცვლილებით (ბოლო კორექტირებით) გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები, მშენებარე IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემის ცვლილებებს არ იწვევს, ასევე არ იწვევს რაიმე ცვლილებებს მომიჯნავე შენობასთან მიმართებაში.

<u>დასკვნა:</u>

შესრულებული გამოკვლევის საფუძველზე, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“ ადგენს, რომ ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, გრიგოლ ჩხიკვაძის ქუჩა, №3, შ.პ.ს. „ინვესტ დეველოპმენტი“-ს (ID: 400143233) საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი №01.72.14.034.136, მდებარე IV კლასის მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის შეთანხმებული პროექტის ცვლილებით (კორექტირებული პროექტით) გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები მშენებლობის პროცესში არ გამოიწვევს მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობების არსებული მდგრადობის გაუარესებას.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი,
ექსპერტი–კონსტრუქტორი /ვახტანგ ჯაფარიძე/

# ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 115518
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10105547
ამონაწერის მომზადების თარიღი: 03/09/2010 15:40:23

## სუბიექტი

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: | შპს ბაზისი XXI |
| იურიდიული მისამართი: | საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, აღმაშენებლის გამზირი 63ა |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 202235296 |
| სამართლებრივი ფორმა: | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: | 12/12/2003 |
| სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი: | 2/4-3679 |
| მარეგისტრირებელი ორგანო: | დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლო |
| საგადასახადო ინსპექცია: | თბილისის რეგ.-ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა |

## ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01001003423, იოსებ ცერცვაძე,
  გენერალური დირექტორი, ,
- 01005021796, ვახტანგ ჯაფარიძე,
  , , აღმასრულებელი დირექტორი

## პარტნიორები

| | წილი | ანგარიშის ნომერი |
|---|---|---|
| 01001003423, იოსებ ცერცვაძე, | 100.00000000% | 202235296-SH-00001 |

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

# დიპლომი

## წარჩინებით

ИВ № 257304

ეს დიპლომი მიეცა ჯაფარიძეს
ვახტანგ ჟივის ძეს
მასზე, რომ იგი 1980 წელს შევიდა
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1985 წელს დაამთავრა
სრული კურსი სპეციალობით
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ.
კვალიფიკაცია.
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე
ბ. ა.
ქალაქი თბილისი 1986 წ. 29 05
1276

# ДИПЛОМ

## С ОТЛИЧИЕМ

ИВ № 257304

Настоящий диплом выдан Джапаридзе Вахтангу Живиевичу
в том, что он в 1980 году поступил
в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина
и в 1985 году окончил полный курс названного института
по специальности промышленное и гражданское строительство
Решением Государственной экзаменационной комиссии от 1985 г.
присвоена квалификация инженера-строителя
Председатель Государственной экзаменационной комиссии
М. П. Город Тбилиси 29 05 1986 г.
Регистрационный № 1276

Georgia IDENTITY CARD
საქართველო
GEO



სახელი / FIRST NAME
ვახტანგ
VAKHTANG
გვარი / LAST NAME
ჯაფარიძე
JAPARIDZE

| მოქ. / CIT | სქესი / SEX | პირადი No / PERSONAL No |
|---|---|---|
| GEO | მ / M | 01005021796 |

| დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH | მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY |
|---|---|
| 10.06.1963 | 26.06.2026 |

ბარათის No / CARD No 15IC19267
ხელმოწერა SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
26.06.2016
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

```
IDGE015IC192675010050217964<<<<
6306106M2606266GEO<<<<<<<<<<<1
JAPARIDZE<<VAKHTANG<<<<<<<<<<<
```

# ინფორმაცია საპროექტო და სამშენებლო სამუშაოთა შესახებ

მე, ვახტანგ ჯაფარიძე, 1985 წლიდან ვეწევი საპროექტო საქმიანობას შ.პ.ს. „თბილქალაქ-პროექტ“-ში; 1997 წლიდან ვთანამშრომლობ სხვადასხვა საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებთან, სადაც ვასრულებ საპროექტო და საექსპერტო სამუშაოებს; ასევე ვეწევი სამშენებლო ობიექტების ტექნიკურ ზედამხედველობას. 2004 წლიდან ვარ შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის აღმასრულებელი დირექტორი და მთავარი კონსტრუქტორი.

<u>ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავებულია შემდეგი ობიექტები:</u>

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საგარეჯოს ქ. №7-7ა;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქეთევან წამებულის გამზ. №15-17;
- მიწისძვრისაგან დაზიანებული, ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლის გამაგრების პროექტი;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ში;
- 10 სართულიანი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის პროექტი ქ. თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე;
- ღვინის ქარხანა ყვარელის რ/ნ, სოფელ შილდაში;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საბურთალოს ქ. №31;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შატბერაშვილის ქ. №7 და შატბერაშვილის ქ. №9;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მარუხის გმირების ქ. №11;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ვ. ივერიელის ქ. №32 / საბადურის ქ. №32-32ა, №34;
- მრავალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

<u>ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული საექსპერტო სამუშაოები:</u>

- ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში, სოფელ სართიჭალასა და სოფელ საკაძეში, შ.პ.ს. „ჩირინა“-ს მეფრინველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე, მდებარე შენობების საერთო მდგრადობისა და ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების საპროექტო მონაცემებთან შესაბამისობის შესახებ; საექსპერტო შეფასებები კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შავიშვილის ქ. №1 / ქავთარაძის ქ. №19, შ.პ.ს. „მონოლით ჯგუფი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. გურჯაანში, თავისუფლების ქუჩა № 6-ში, „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმ“-ის ავტოგასამართი კომპლექსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, დასახლება აეროდრომი, ქუჩა I, №20/ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება მე-3 ქუჩა №17/ ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება I ქუჩა №22, ე.ს. ამხანაგობა „იმედი 2015“-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, ქინძმარაულის I შესახვევი №1-ში, შ.პ.ს. „უნიმედი კახეთი“-ს მიწის ნაკვეთზე მდებარე არსებული რეფერალური ჰოსპიტალის შენობის გამაგრება-გაძლიერების პროექტზე.
- ქ. რუსთავში, სექტორი-ე. შარტავა, მიკრო/რაიონი XXI, №16 და №22 სახლებს შორის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა უშანგი ჩხეიძის, №12-14-16 შ.პ.ს. „ბელი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა №74, შ.პ.ს. „სალვუს დეველოპმენტი“-ს დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა წინანდალი №9 შ.პ.ს. „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“-ს საგანმანათლებლო ცენტრის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, კახეთის გზატკეცილის მე-7 კმ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „R.I.G. GAS“-ის ნავთობბაზის ობიექტების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა წინანდლის, №9, (ნაკვეთი N01/107) შ.პ.ს. „კარდიოლოგიური კლინიკა გული“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.17.13.001.315 არსებული საავადმყოფოს რეკონსტრუქციის (დაშენება-გადაჯდომით) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის, შ.პ.ს. „აკა“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე №01.10.06.009.042 მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა ნარიმანოვი, №12, შ.პ.ს. „ემ. ჯი. ალიანსი“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხ. სახლის (ბლოკი: №1–№6) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

მოწოდებულ ინფორმაციას ვადასტურებ,
შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი: /ვ. ჯაფარიძე/



# შეთავაზებული სპეციალისტის ბიოგრაფიული მონაცემები

| | |
|---|---|
| შეთავაზებული თანამდებობა | ინჟინერ-კონსტრუქტორი |
| ფირმის დასახელება | „ბაზისი XXI“ |
| გვარი, სახელი | ჯაფარიძე ვახტანგ |
| პირადი № | 01005021796 |
| დაბადების თარიღი | 10. 06. 1963 |
| საცხოვრებლის მისამართი | ქ. თბილისი, წყალტუბოს ქ. №20 |
| ელ.ფოსტა | bazisi xxi@yahoo.com |
| საკონტაქტო ტელეფონი | 595 27 21 27 |
| პროფესია | სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი, დამპროექტებელი |
| საპროექტო ორგანიზაციაში მუშაობის სტაჟი | 35 წელი |
| ექსპერტად მუშაობის სტაჟი | 20 წელი |
| მოვალეობის დეტალურად აღწერა | სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების კონსტრუქციების გაანგარიშება- დაპროექტება |
| განათლება 1980-1985წწ | უმაღლესი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი, სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი |
| ძირითადი კვალიფიკაციები 1985 წლიდან დღემდე | შ.პ.ს. „თბილქალაქპროექტი“-ს წამყვანი კონსტრუქტორი, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის მთავარი კონსტრუქტორი |
| დაპროექტებული ობიექტები 1985-2020წწ | მრავალი ინდივიდუალური და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, საწარმოო დანიშნულების ობიექტები, შენობების აღდგენა-გამაგრების პროექტები |
| თარიღი | 12.04.2021წ. |

| ენები | კითხვა | წერა | ლაპარაკი |
|---|---|---|---|
| ქართული | მშობლიური | მშობლიური | მშობლიური |
| რუსული | თავისუფლად | თავისუფლად | თავისუფლად |

დადასტურება

მე, ქვემორე ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი მონაცემები ზუსტად აღწერს ჩემს პიროვნებას, ჩემს გამოცდილებას და კვალიფიკაციას.

სპეციალისტი




ვახტანგ ჯაფარიძე